



ავეჯის საამქრო თანამედროვე სადურგლო ხელსაწყოებით აღიჭურვა

ქვეყნის მასშტაბით მრავალი ავეჯის საამქროა. ბაზარზე მოთხოვნაც არის, მომხმარებელს ურჩევნია მაგიდები, სკამები, სამზარეულო და საძინებელი გარნიტურები, თუ სახლისთვის აუცილებელი სხვა ავეჯი საამქროში საკუთარი გემოვნებით, ბინის ფართზე მორგებული ზომებით დაამზადებინოს. საამქროებს შორის კონკურენცია მაღალია და ყველა ცდილობს, კარგ ხარისხსა და ხელმისაწვდომ ფასებზე იზრუნოს. გამონაკლისი არც ახალქალაქის მუნიციპალიტეტია. სვეტლანა სეროპიანმა ახალგაზრდების გუნდი შემოიკრიბა და ხის საამქრო გახსნა, სადაც თავად მენეჯერის ფუნქციას ასრულებს.

თანამედროვე სადურგლო ხელსაწყოები ENPARD-ის პროგრამის ფინანსური მხრდაჭრით შეიძინა და საქმიანობასაც შეუდგა. აღნიშნული საამქრო ინოვაციურია და ავეჯის დამზადებისას ეკოქსიდის ფისს იყენებს.



პროექტის შედეგად დასაქმდა: 3 ადგილობრივი
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 4,000.00 ლარი
ევროკავშირის დაფინანსება: 2,600.22 ლარი
თანადაფინანსება: 1,400.00 ლარი



“ეკოქსიდის ფისს ავეჯის წარმოებაში საქართველოში ცოტა თუ მოიხმარს, ჩვენ რეგიონში კი ერთადერთი საამქრო ვართ, ვინც ამ ტექნოლოგიას ფლობს.

ეკოქსიდის ფისით დამზადებული ავეჯი ძალიან გამძლეა და არ დეფორმირდება, მასზე უარყოფითად არ მოქმედებს ნესტი და მარტივად არ ზიანდება. მსგავსი ტექნოლოგიით დამზადებული ავეჯი ძალიან ლამაზი და ტრენდულია. მათ ხშირად იყენებენ რესტორნებსა და კაფეებში განსაკუთრებული დიზაინის შესაქმნელად”, - ამბობს სვეტლანა სეროპიანი.

ადგილობრივი რესტორნები მართლაც დაინტერესდნენ ნაწარმით, თუმცა პანდემიის პერიოდში დაწესებულმა შეზღუდვებმა ამ სფეროს მუშაობა შეაფერხა და შეკვეთების მიცემისაგან ამ ეტაპზე თავი შეიკავეს.





საამქროში სამი ადამიანი დასაქმდა. ისინი თავისი საქმის პროფესიონალები არიან და მომხმარებელთა ნებისმიერი გემოვნების დაკმაყოფილება შეუძლიათ. ამ ეტაპზე გარდა ავეჯისა, საამქროში ჭალები, შამფურები, ღვინის სადგამები, ლუდის სასმისები მზადდება. ამ ნივთებზე მოთხოვნა მაღალია და გაყიდვების მაჩვენებლით საამქროს თანამშრომლები კმაყოფილები არიან.

“მინდა მაღლობა გადავუხადო, ევროკავშირს, GIPA-ს, LAG-ს, აღმოჩენილი ფინასური მხარდაჭერისა და ნდობისათვის. მათ ირწმუნეს, რომ ჩვენი იდეა განხორციელებადი იყო, სარგებელს მოუტანდა მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას და შექმნიდა ახალ სამუშაო ადგილებს ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის”, - აღნიშნა სვეტლანა სეროპიანმა.

საამქროში თვლიან, რომ მათ მიერ დამზადებული ავეჯი განსაკუთრებული დიზაინითა თუ ხარისხით გამოირჩევა და მოწონებას, საქართველოს მასშტაბით დაიმსახურებს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საამქრო სოციალური პასუხისმგებლობის კულტურით გამოირჩევა - უფროხილდება გარემოს და ავეჯის წარმოებაში მხოლოდ ხის მასალის ნარჩენებს იყენებს. ნარჩენებით ავეჯის დამზადებას კი ეპოქსიდის ფისის გამოყენების მეთოდი უზრუნველყოფს და უარყოფითად არ აისახება პროდუქტის ხარისხსა და დიზაინზე.



ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირის საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში პროექტის ფაზგეგმვაში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პაჩტნიოხები აჩიან მეხსი ქოხფსი, ELVA საზოგადოებრივი ჩაჩტუღობა და დასავღეთ კოხკის განვითარების პაჩტნიოხოობა.

ევროკავშირის მხახს უჭეხს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხოხციეღღება 2013 წღღიდან საეჩტო ბიუჯეტიტ 179,5 მიღღიონი ევოო. ENPARD-ის ძიიოთაღღი მიზანი საქართველოში სოფღად სღღაჩიბის დაღღევაა. პროგრამის პიჩვეღღი ფაზბის პიოოტიღღეტი იყო სოფღის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ხოღო მეოოე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფღად მღღხოვღები ადამიანების ეკონომიკუი განვითარების შესაღღღებღღობების გაზღღდას. დამაღღებოთი ინფოოჩმაღღიისათვის იბიღღეთ ვებ-გვეღღეღი: www.enpard.ge.